



საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: [ncdc@ncdc.ge](mailto:ncdc@ncdc.ge); ვებ.გვერდი: [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)  
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: [ncdc@ncdc.ge](mailto:ncdc@ncdc.ge); Web: [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

## დასკვნა

### ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიშზე

#### დამგეგმავი ორგანო:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში  
შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სივრცითი და  
ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

#### განაშენიანების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია:

შპს „ბაუ დიზაინი“

**პროექტის მოკლე აღწერილობა:** ქალაქი წყალტუბო მდებარეობს საქართველოს  
დასავლეთ ნაწილში, იმერეთის რეგიონში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
შემადგენლობაშია 42 სოფელი და 1 ქალაქი. ქალაქი გამოირჩევა უნიკალური  
თერმული წყლებით, რომლებიც მდიდარია ბარიუმის კარბონატითა და სხვა  
მინერალებით და გააჩნია სამკურნალო თვისებები.

ქ. წყალტუბოს მთავარი ბუნებრივი რესურსი - მინერალური წყლების საბადო  
მდებარეობს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე.

გენერალური გეგმის კონცეფციით განსაზღვრული საკვლევი არეალის  
განაშენიანების გეგმის საზღვრები მოიცავს ქ. წყალტუბოს საკურორტო ნაწილსა და  
მის მიმდინარე ტერიტორიებს. არეალის საზღვრებში მოქცეულია ყველა  
სანატორიუმი და მიწის ნაკვეთი, ქალაქის ბაზარი, ტბის მიმდინარე ტერიტორია,  
ტყის მასივი და სამხრეთით ქალაქის ერთ-ერთი მთავარი შემოსასვლელი.

განაშენიანების გეგმის მიზანია შეიქმნას საცხოვრებელი, დასასვენებელი და  
სამუშაო გარემო ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვით,  
ტურისტული, სოციალური, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების  
დეტალური პრობებით.

ქ. წყალტუბოს განაშენიანების გეგმაში ადამიანთა ჯანმრთელობის ზემოქმედების  
შეფასების განხორციელება გავლენას მოახდენს იმ ფაქტორებზე, რომლებიც  
პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.



ეს ფაქტორებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესი.
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავლო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩის განათება, საველოსიპედო ბილიკები და სხვა).
- საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებლო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, შენობის ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ.).
- სამუშაო და განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების (აფთიაქი, მაღაზიები, ბანკები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა და წვდომა.
- უსაფრთხოება (სასრიალო და საფეხმავლო ბილიკების პასიური დაკვირვება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია, ტერიტორიის დასუფთავება).
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, ე.ი. საგზაო ტრანსპორტი, მწვანე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება).
- წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლების შეგროვება.
- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება).
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების აღწერა და გავლენის მნიშვნელობის შეფასება, რისკ-ფაქტორების ზემოქმედებით დაზარალებული ტერიტორიების და უბნების იდენტიფიცირება.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება.
- მონიტორინგი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომი კომპონენტების მიხედვით:

**კურორტ წყალტუბოს მართვის უფლებამოსილი ორგანო, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები:**

კურორტის მართვისათვის აუცილებელია შეიქმნას მმართველობის უფლებამოსილი ორგანო - კურორტ წყალტუბოს მართვის საბჭო, ვინაიდან არ არის გამოკვეთილი ვინაა პასუხისმგებელი საკურორტო მომსახურებაზე, ხარისხზე, აკრედიტაციაზე, მის შესაბამისობაზე ტექნიკურ რეგლამენტებთან, ნორმატიულ



დოკუმენტებთან და სტანდარტებთან, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასა და სხვა. ასევე, მომავალში გასათვალისწინებელი იქნება შესაბამისობა ევროსაბჭოს 2013 წლის ტურიზმის ევროპული ინდიკატორების სისტემასთან (ETIS), რომელიც ემსახურება მდგრადი ტურიზმის განვითარებას და თანამედროვე მიდგომები და პროგრესი გაიზომება შესაბამისი ინდიკატორებით.

უნდა შემუშავდეს კურორტის განვითარების გეგმა და გაიწეროს პრიორიტეტები.

### **სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ოცი ამბულატორია, 2 პოლიკლინიკა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ერთი საავადმყოფო. ქ. წყალტუბოში მდებარე საავადმყოფო 300 საწოლიანია და მასში 28 მედპერსონალია დასაქმებული, იმავე მისამართზე მდებარეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტიც. ქალაქის ცენტრში ფუნქციონირებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. მუშაობს სასწრაფო დახმარების სამი მობილური ბრიგადა, რაც შეეხება გადაუდებელი დახმარების ცენტრს, ინფრასტრუქტურა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, თუმცა სახანძრო-სამაშველო მანქანები მოძველებულია და საჭიროა მათი ახალი, თანამედროვე, სტანდარტების მანქანებით ჩანაცვლება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა დროულად და მაღალი ხარისხით მოხდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უზრუნველყოფა შესაბამისი მანქანებით, ასევე წყალტუბოს ტერიტორიაზე სააფთიაქო ქსელის განვითარება.

### **ხელმისაწვდომობა სკოლამელ და სასკოლო დაწესებულებებზე**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 40 საჯარო, ხოლო 2 კერძო სკოლაა, რომელშიც ჯამში 5000 მოსწავლე სწავლობს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 1 სამხატვრო და 1 სამუსიკო სკოლა. ქ. წყალტუბოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 საჯარო სკოლა. აღსანიშნავია, რომ ქალაქის სკოლებით სარგებლობენ ქალაქთან ახლომდებარე სოფლებიც.

ინფრასტრუქტურულად მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა საჭიროებს ნაწილობრივ რეაბილიტაციას. სკოლების მსგავსად, საბავშვო ბაღებიც საჭიროებს გარკვეული სახის რეაბილიტაციას, მაგალითად, სათამაშო მოედნების მოწესრიგებას და კოსმეტიკურ რემონტს.

მნიშვნელოვანია, ტერიტორიის განაშენიანების დროს განხორციელდეს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია, რათა უზრუნველყოფილ იყოს ხარისხიანი და უსაფრთხო განათლების/აღზრდის პროცესი წყალტუბოს მაცხოვრებლებისათვის. ასევე დამატებით



საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებების დაგეგმვა და ხელმისაწვდომობის დაფარვა, სადაც საჭიროა აღნიშნული ობიექტების აშენება.

### **ხმაური**

პროექტში აღნიშნულია, რომ ქ. წყალტუბოს ტერიტორიაზე ხმაურის წარმომქმნელი მასშტაბური ობიექტები არ მდებარეობს და ხმაურის წარმოქმნის მთავრი წყარო აქ არსებული ავტოტრანსპორტია. ქალაქის ტერიტორიაზე გადის ქუთაისი - წყალტუბო - ცაგერი - ლენტეხი - ლასდილის მოასფალტებული საავტომობილო გზა, რაც არ ქმნის დისკომფორტს ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკურორტო ზონაში მოსახლეობის და დამსვენებელთა ჯანმრთელობაზე ხმაურის დონის არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოყენებულ იქნას:

- ხმაურის წყაროს საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები;
- ბალნეოზონასთან გამავალ წრიულ გზაზე უნდა აიკრძალოს სატვირთო, მისაბმელიანი და ნახევრად-მისაბმელიანი სატვირთო მანქანების, ტრაქტორების და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტული გადაადგილება.
- რეკომენდებულია პარკსა და ბალნეოზონაში მცირეგაბარიტიანი ელექტროტრანსპორტით გადაადგილება.
- ხმაურისაგან დაცვის მიზნით ობიექტზე შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.
- უნდა ჩამოყალიბდეს სერვის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით საჭაერო, საავტომობილო, სარკინიგზო გზით ჩამოსული ტურისტების მიღებას და განთავსებას.

### **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება**

დღემდე ჩატარებული არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს და ზრდის სხვადასხვა დაავადებათა განვითარების რისკს. ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქ. წყალტუბოს მოსახლეობის, ასევე დამსვენებელთა ჯანმრთელობისათვის.

2022 წლის 10-12 მაისს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ სპეციალიტების მიერ ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქ.



წყალტუბოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ნორმის ფარგლებშია. თუმცა, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობამ, ეკონომიკური აქტივობებისა და დამსვენებელთა ნაკადის შემდგომმა ზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლების მატება, რაც საჭიროებს მონიტორინგის მონაცემების მუდმივ განახლებას. ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი მოიცავდეს საავტომობილო გზის არსებული და დაგეგმილი ალტერნატივების დეტალურ ანალიზს, რათა შეფასდეს გავრდილი სატრანსპორტო ნაკადების გამო მოსალოდნელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი და მისი მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს სამომავლოდ დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებები. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მანჩვენებლების კვლევას, რაც ერთ-ერთ უმთავრეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებსა და ქალებში.

ასევე რეკომენდებულია, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, რაც გულისხმობს თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნას და სასურველია, ეს აისახოს პროექტშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქ. წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის ერთ-ერთი მიზანი მისი „ეკო მეგობრულ“ ქალაქად გადაქცევაა, ამ კუთხით მნიშვნელოვანია „მწვანე ქალაქის“ კონცეფციის დანერგვა და ენერგოეფექტურობის პრინციპებზე გადასვლა. ასევე რეკომენდებულია ქალაქში სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის მოძრაობის უპირატესობის მინიჭება გზაჯვარედინებზე და მათი გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამომრათო ზოლის გამოყოფა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანქანების პარკირების ადგილების სწორი მართვა, რათა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეძლონ ზონალურ-საათობრივი პარკირებით სარგებლობა საცხოვრებელთან ახლოს და გაჩნდეს მათთვის პარკირების სივრცე, ასევე დამსვენებლების, ელექტრომობილების მფლობელებისა და შშმ. პირებისთვის.

## **ნარჩენების მართვა**

ქ. წყალტუბოს ტერიტორიის რესურსების გამოყენების შემცირებისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში, კერძოდ დაიგეგმოს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული აქტივობები და შემუშავდეს შესრულების ინდიკატორები, რაც მიიღწევა:



- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით;
  - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით ქ. წყალტუბოს და მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით;
  - ხარჯების სრული ამოღების დანერგვით;
  - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით;
- რეკომენდაციები გრძელვადიანი აქტივობების დაგეგმვის:
- ქალაქის მარეგულირებელი და დაგეგმვის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
  - ნარჩენების გადამუშავების ახალი საწარმოს მშენებლობა;
  - ნარჩენების შეგროვების სისტემის მოდერნიზაცია;
  - ნაგავსაყრელის გაზის უტილიზაცია ელექტროენერჯის გენერირებისათვის.

### **კლიმატის ცვლილება**

ქ. წყალტუბოს შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილება უფრო და უფრო ზრდადი ხდება წლიდან წლამდე, რაც იწვევს ცხელი დღეების ზრდას. ამიტომ, ადაპტაციის თვალსაზრისით, როგორც ცოცხალ ორგანიზმებს, ისე ადამიანებს, გარემოს, ბუნებრივ რესურსებს და ეკონომიკას უქმნის უზარმაზარ პრობლემებს. ნალექიანობისა და ტემპერატურის, როგორც ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვლილებები თავის მხრივ იწვევენ სხვა ცვლილებებს ბუნებრივ რესურსებში, ეკოსისტემებში და ბუნებრივ მოვლენებში, რაც კომპლექსში ქმნის შეცვლილი კლიმატური სისტემის სურათს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე ინსტიტუციური და პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება. ეს გულისხმობს, შერბილების პოლიტიკის ექსპერტებისა და ზოგადად კლიმატის ცვლილების შერბილების სექტორში მომუშავე ადამიანების პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობას.

წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ არსებობს გადაუდებელი საჭიროება გათვალისწინებულ იქნას კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციები და მოხდეს შესაბამისი შერბილების ინტერვენციების განხორციელება. ვინაიდან, კლიმატის ცვლილების გამოვლინებები დრამატულია, რომლებიც გამოირჩევა თავისი სიმკვეთრით და სისწრაფით, მოითხოვენ უსწრაფეს რეაგირებას და მოაქვთ უზარმაზარი ზარალი. ესაა ბუნებრივი კატასტროფების გახშირება, გვალვები, სითბური ტალღები, ექსტრემალური ტემპერატურები, ძლიერი წვიმები, წყალდიდობა-წყალმოვარდნები, და ა.შ. რაც ზეგავლენას ახდენს ადამიანის



ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ამ კუთხით მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. უკვე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით მოხდეს მავნე ზეგავლენის პრევენციისათვისა და მაქსიმალური შემცირებისათვის აუცილებელი სწორი და დროული შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების გატარება, რომლებიც უნდა დაიგეგმოს, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე და ინტეგრირებულ იქნას განვითარების სტრატეგიაში. ამასთანავე, აუცილებელია ქ. წყალტუბოს წყალდიდობის რუკების გამოყენებით, პერიოდული კვლევებისა და დაკვირვების წარმოება, მომავალში კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლად არეალებში საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებების გატარების მიზნით. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა, მისი მრავალფეროვანი გამოვლინებების აღწერა, დადასტურება და ანალიზი მნიშვნელოვანია ხდებოდეს პერიოდულად.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, ადაპტაციის გეგმების შემუშავება, ამ გეგმების განხორციელების მექანიზმების დანერგვა, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და გაძლიერება კლიმატის ცვლილების კუთხით. საშუალებას მისცემს მოსახლეობას ადვილად ადაპტირდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების მიმართ.

#### **რეკომენდაციები:**

- „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მკაცრი რეჟიმის ზონაში დაცული უნდა იქნეს მე-7 მუხლის (პირველი ზონა) მოთხოვნები და გატანილ იქნეს მკაცრი რეჟიმის ზონიდან ღია კაფეები და რესტორნები, სადიაგნოსტიკო ცენტრები და სხვა, რომელიც არ არის დაკავშირებული ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან. ტურისტებისა და დამსვენებლების საჭიროებისათვის განთავსდეს მობილური ყავის მაღაზია, რომელიც ფართო ასორტიმენტს შესთავაზებს დამსვენებლებს (ყავა, ჩაი, გამაგრებული სასმელები, შეფუთული მზა ნამცხვრები შოკოლადი და ტკბილეულობა).
- უნდა აიკრძალოს მე-7 მუხლის (პირველი ზონა), მე-4 პუნქტის შესაბამისად აკრძალული საქმიანობები. კერძოდ, კატეგორიულად მიუღებელია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად დაჭაობებული ადგილის განტვირთვისათვის დამატებით არხის განთავსებას მკაცრი რეჟიმის პირველ ზონაში, რომელიც ქმნის რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სამხრეთ ნაწილში დამატებითი ტბის მოწყობას, რომელიც დროგამოშვებით შეივსება ე.წ. „ცივი ტბიდან“ მომდინარე დაბინძურებული წყლით, რადგანაც წარმოდგენილი ახალი ტბის გაჩენა პარკის სამხრეთ შესასვლელთან არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა. ამავე ზონიდან გატანილ უნდა იქნეს საჩოგბურთო ნაგებობების ნანგრევები და გამწვანდეს ტეროტორია, ასევე,



შესაძლებელია მოეწყოს გოლფის მოედნები და საფეხმავლო ბილიკები დამსვენებელთა სასეირნოდ და განთავსდეს ურბანული/საკურორტო ინვენტარი სკამები, ნარჩენების ურნები.

- შესწავლილ უნდა იქნეს და დადგინდეს რისკი მინერალური წყლის დაბინძურებისა ბალნეოზონაში და მიეთითოს რეკომენდაციები მათი თავიდან აცილების მიზნით.
- ინფრასტრუქტურულად მოწესრიგდეს დასალევი მინერალური წყალის ე.წ. "სილამაზის წყარო".
- პროექტის მიხედვით ბალნეოზონის გარეთ, იგეგმება აქვაპარკის ღია და დახურული ნაგებობების განთავსება. გასარკვევია, რამდენად შესაძლებელია საკანალიზაციო წყლების შეკრების ადგილზე აქვაპარკის მშენებლობა, სადაც მუდამ არის მძაფრი არასასიამოვნო სუნი ჩამდინარე საკანალიზაციო წყლებიდან, რომელიც ასევე პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

#### **დასკვნა:**

წარმოდგენილი ქ. წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი დოკუმენტის პროექტზე, ცენტრი მზად არის გასცეს დადებითი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება წინამდებარე შენიშვნები და რეკომენდაციები.

კატეგორიულად მიუღებელია მკაცრი შეზღუდვის ზონაში:

1. დაჭაობებული ადგილების განტვირთვისათვის დამატებით არხის შემოდინება, რომელიც ქმნის რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის;
2. კაფეებისა და რესტორნების, სასტუმროების აშენება/ფუნქციონირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა დაისვას საკითხი ამ ზონიდან გატანის შესახებ;
3. დაჭაობებული ადგილის განტვირთვისათვის ჩამდინარე წყლების არსებობა;
4. პარკის სამხრეთ შესასვლელთან ახალი ტბის გაჩენა, რომელიც პერიოდულად დატბორვის შემდეგ შეივსება დაბინძურებული წყლით და შემოთავაზებული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში პრობლემის გადაწყვეტას.

პატივისცემით,

**გენერალური დირექტორის**

**მოვალეობის შემსრულებელი**

თ. კახიანი

თ. გაბუნია